PROPAGANDA



ორგანიზაციის შესახებ

სახელოვნებო ორგანიზაცია „პროპაგანდა“ 2017 წელს დაარსდა საინიციატივო ჯგუფის მიერ, რომელიც განვითარებადი ქვეყნის კულტურულ კლიმატში სისტემური ხედვისა და თანმიმდევრული მუშაობის საჭიროებას ხედავდა. „პროპაგანდამ“ მიზნად დაისახა არქივის შექმნით აღერიცხა, ხოლო კულტურული გაცვლითა თუ გაცნობიერებული პრაქტიკით გაეანალიზებინა ის უნიკალური ტოპოსი, სადაც ერთის მხრივ პოსტ-საბჭოთა ინერციიაში შექმნილი დილეტანტური მცდელობები, დასავლურ სახელოვნებო სინტაქსზე ორიენტირებული ახალი ტრენდები და მეორეს მხრივ ისტორიულად მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა უჩვეულო ნაზავს და განუმეორებელ სამოქმედო არეალს ქმნიდა ხელოვნებისათვის.
ტრადიციულ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობამ, კულტურული ინდუსტრიის განუვითარებლობამ, განათლებისა და დამუკიდებელი არტისტებისათვის მუდმივი სამუშაო სივრცეების სიმწირემ, შექმნა გადაუდებელი მოთხოვნა შექმნილიყო ისეთი პლატფორმა, რომელიც მაქსიმალურად გააერთიანებდა არსებულ აქტივებს და დაუცენზურებელ, ცოცხალ დიალოგს აწარმოებდა ერთობლივი განვითარებისათვის.

მიმართულება

„პროპაგანდა“ ინერციული სვლიდან ამოსვლასა და გამბედავ, თამამ, გადაუდებელ მოქმედებას ნიშნავს. პროპაგანდა თავისუფალი და ზრდადი ქსელია, რომელიც თვითგამოხატვის სტიმულსა და შემოქმედებითი თავისუფლების ღირებულებებს „სასწრაფო წესით“ და ხმამაღლა ავრცელებს.
ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანებია ადგილობრივი სახელოვნებო სცენის განვითარება, თანამედროვე ხელოვნების ინდუსტრიის შექმნაში წვლილის შეტანა და მსოფლიოში არსებული აქტუალური გამოცდილებების ათვისება. საერთაშორისო სახელოვნებო ინსტიტუციებისა და მათ პოლიტიკურ სტრატეგიებზე მედიტაცია, მათი პრინციპების გააზრება და ადგილობრივ, უნიკალურ სივრცეზე მორგება. ხელოვნების კრიტიკის, კურატორული შრომის გააქტიურება და შესწავლა. თავისუფალი სახელოვნებო სივრცეების შექმნა, ადგილობრივი არტისტების ხელშეწყობა, აღმოჩენა და მათთვის არსებულ რესურსებზე წვდომის გახსნა. საბოლოოდ კი მოსახლეობაში შემოქმედებითი ცნობიერების ამაღლება და კულტურული ცხოვრების გააქტიურება.
პროპაგანდას მიაჩნია რომ დღეს თბილისი, როგორც გეო-პოლიტიკური სივრცე, იდეალურად ირეკლავს საერთაშორისო მოვლენებს და ამავდროულად, მათთან თვითდადგინებაში სრულიად ახალ მითებს, ნიშან-სისტემებსა და არტეფაქტებს ქმნის, ამიტომ ჩვენი მთავარი შემოქმედებითი ინტერესები კვლევაზე დაფუძნებული, საზოგადოებრივად ჩართული და ინტერდისციპლინური პროექტებია, რომლებიც მაქსიმალურად აირეკლავს ყოველდღიური ცხოვრების ასპექტებს და ჩვენი „დროის სულზე“ დაკვირვებით, ინოვაციულ შინაარსებს შექმნის.
პროექტები და ნამუშევრები, რომლებიც კითხვისნიშნის ქვეშ აყენებს აღიარებულ სახელოვნებო გრამატიკას და შემოქმედებითობის არსს თავიდან იაზრებს, იქნება ეს ტრადიციული თუ ახლადშექმნილი ხელობები, მეცნიერება, ტექნოლოგია, ეკო-პოლიტიკა თუ საზოგადოებაში წარმოქმნილი ნებისმიერი წეს-ჩვეულება. ინტუიცია, სპონტანური სინთეზები, საზოგადოება, ექსპერიმენტული მეცნიერება და თანამედროვე ფოლკლორი ის საკვანძო სიტყვებია, რომლებიც ნებისმიერ სამუშაო მედიუმში შეიძლება გაისმას.

პროპაგანდას ხელთ არსებული რესურსები და მიმდინარე აქტივობები:

#PropagandaArchive - თანამედროვე ხელოვნების არქივი და კვლევა.
ჯერ კიდევ 2013 წელს, საინიციატივო ჯგუფმა ზაზა დარასელის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში დაფინანსება მოიპოვა ონლაინ არქივის შექმნაზე. სადაც 70-იანი წლებიდან დღემდე შექმნილი ქართული ხელოვნების ნიმუშებია ხელმისაწვდომი. განახლებადი და ღია არქივი დღემდე ვითარდება და იკვლევს ისეთ ნამუშევრებსაც, რომლებიც პრობლემური ისტორიის მანძილზე გაბნეულია ან არარეპრეზენტაბელურ ფორმაშია. არქივთან ერთად ხდება მიმდინარე სახელოვნებო პროცესების კვლევა/გაანალიზებაც.
გუნდი: თინათინ ასათიანი, თეონა ცინცაძე, ნიკა ნადირაშვილი, მარიამ ლორია, ნანა ყიფიანი, სამოქალაქო საზოგადოება, მკვლევარები, მუზეუმები, კოლექციონერები

სილკოგრაფიის სახელოსნო

სილკოგრაფია მნიშვნელოვანი პრინციპების გავრცელებისათვის ერთ-ერთი მატერიალური იარაღია - თვითგამოხატვის მეთოდი, რომელიც საბაზრო, სამომხმარებლო ენით ექსპერიმენტირებს. სახელოსნო აღჭურვილია ტექსტილსა და ქაღალდზე ბეჭდვის ყველა საჭირო დანადგარით და ღიაა საინტერესო იდეებისა და ამ მედიუმით დაინტერესებული ხელოვანებისა და რეზიდენტებისათვის.
გუნდი: თეონა ცინცაძე; საერთაშორისო რეზიდენტები, სტუდენტები, არსებული ოსტატები, არტისტები

ნეონის სახელოსნო

მეხსიერებაში უკვე კარგად გამჯდარი სარეკლამო რეპრეზენტაციის მეთოდი იდეალურ საშუალებას იძლევა სხვადასხვა მნიშვნელოვანი შინაარსების ხაზგასმისათვის. იქნება ეს ინსტალაცია, დიზაინი თუ საფასადე აბრა, ნეონი ჩვენთვის ქვეცნობიერის გაანალიზებისა და საკვანძო მნიშვნელობების გააზრებაა. ნეონის სახელოსნო არტისტებს ნეონის ნამუშევრების დამზადებას და, სურვილის შემთხვევაში, დამზადების პროცესში უშუალო ჩართულობას სთავაზობს.
გუნდი: გაგა ცხვედაძე, საერთაშორისო რეზიდენტები, სტუდენტები, არტისტები, არსებული ადგილობრივი ოსტატები

RESIDENCY STAMBA

თბილისში არსებული სასტუმრო „სტამბა“ მასპინძლობს სხვადასხვა მედიუმში მომუშავე მნიშვნელოვან ადგილობრივ თუ საერთაშორისო არტისტებს და ამით ხელს უწყობს კულტურული გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას. რეზიდენციის არტისტებს თავად პროპაგანდა იწვევს, სხვადასხვა კურატორების, არტისტებისა და ექსპერტების რეკომენდაციით.

გუნდი: ლიზა ოფერმანი, ანდრო ვეკუა, ქეთუთა ალექსი-მესხიშვილი, ანა გაბელაია, თინა ასათიანი,საერთაშორისო ან ადგილობრივი არტისტები. ადგილობრივი თუ საერთაშორისო კურატორები და არტისტები. კურატორები, ახალგაზრდა პროფესიონალები. ხელოვნებით დაინტერესებული პირები.

SYNTHESIS

სინთეზი - ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი სახელოსნოა, რომელიც ულიმიტო ექსპერიმენტებისათვის შეიქმნა. თვითნებური, უსისტემო და შემთხვევითი იმპულსების განვრცობისათვის. სინთეზის სახელოსნოში ადგილი აქვს კვლევებს, რომლებიც ესთეტურად თუ შინაარსობრივად შეუთავსებელ ელემენტენტებს აკავშირებს. აქ ერთმანეთთან შემოქმედებით ურთიერთობაში შედიან ისეთი ადამიანები რომელთა საქმიანობის სფეროები რადიკალურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. სინთეზი კონტრასრული კოლაბორაციებისა და დისციპლინების გადაკვეთაზე მუშაობს, სადაც არტისტი ცდება პროფესიისა თუ ხელობის ცნებას და სხვადასხვა სფეროებში, ყოველდღიური ცხოვრებისათვის განუყოფელ ვითარებებში ინაცვლებს.

გუნდი: ანა გაბელაია, თინათინ ასათიანი, ნინა პატარიძე, ელენე ფასური, არტისტი, სტაჟიორი სამხატვრო აკადემიიან (ასისტენტ-არტისტი). კურატორები, კრიტიკოსები, ყველა პროფესიის მკვლევარები და ოსტატები. ხელოვნებით დაინტერესებული პირები.

მუზეუმი

სწრაფი პოლიტიკური თუ კულტურული გარდაქმნების ისტორიულმა პროცესმა, რადიკალურად განსხვავებულ წარსულთან ერთად ჩვენს ყოველდღიურობაში მრავალი უნიკალური ცოდნის, ხელობის, ტექნესა და ნოუ-ჰაუს ნიმუში შექმნა. უჩვეულო ობიექტები და იშვიათი არტეფაქტები, საინტერესო ტრადიციები და პროცესები რომლებიც თანდათან ქრება ან აწმყოს გააზრების დროებითი ნიმუშია. სამუზეუმო სივრცე ღირებულებებსა და მნიშვნელობებზე მსჯელობს და მათ შექმნის პროცესს აკვირდება.
პირველი პროექტის სახით, სივრცე გადაეცემა აშშ-ში, ლოს-ანჟელესში მოქმედ „იურიული ტექნოლოგიის მუზეუმის“ კოლექტივს რომელსაც პროპაგანდა პირდაპირ თანამოაზრედ ხედავს. მუზეუმის იდეა ლოკალურ კონტექსტს მოერგება და სხვადასხვა არტისტებთან კოლაბორაციაში იმუშავებს ძველ ტექნოლოგიებზე მეცნიერებასა და ხელოვნებაში. „ოპტიკური ილუზიები“, „ჩაის ოთახი“ და „მეფუტკრეობის ინსტიტუტი“ პირველადი პროექტებია. სივრცე გამოყენებული იქნება არა მხოლოდ როგორც კვლევითი ცენტრი ან სახელოსნო, არამედ გარდაიქმნება სხვადასხვა სემინარებისა და პრეზენტაციებისათვის, დისკუსიებისა და კინოჩვენებებისათვის, რომელიც სამუზეუმო აქტივებსა და ინსტიტუციებს, რეპრეზენტაციის მეთოდებსა და სხვა შესაბამის თემებზე იმსჯელებს.
გუნდი: ნანა ჩიჩუა, „იურული პერიოდის მუზეუმი“ს წარმომადგენლები, თინათინ ასათიანი, ადგილობრივი თუ საერთაშორისო კურატორები და არტისტები. კრიტიკოსები, ახალგაზრდა პროფესიონალები, მკლევარები. ხელოვნებით დაინტერესებული პირები, სამოქალაქო საზოგადოება.

ღია სახელოსნოები კვლევითი პრაქტიკებისათვის

ღია სახელოსნოები პროპაგანდას ფართო პროექტია, რომელიც ცდილობს შემოქმედებით აქტივობას მაქსიმალური დამოუკიდებლობა შეუნარჩუნოს და სამუშაოდ სხვადასხვა ტიპის არტისტებს ავტონომიური სივრცე შეუქმნას. ორგანიზაციის ხელთ სამი ღია სტუდიაა რომელიც განაცხადის მეშვეობით, პირადი მოწვევითა თუ პროექტის საფუძველზე გადანაწილდება.

სტუდია 1 -"ჯადოსნური ბაღი"

არტისტი გიორგი სუმბაძე, კურატორ ანა გაბელაიასთან ერთად სათბურ-ინკუბატორის ქმნის. ბოტანიკური რიტუალის მედიტაციური პროცესი ახალი მცენარეების გაღვივებას და შემუშავებას დაეთმობა. მივიწყებული, იშვიათი სამკურნალო თუ სხვა ფუნქციურ მცენარეთა კულტურები და ექსპერიმენტული ფლორა თბილისის ბოტანიკური ბაღთან კოლაბორაციაში. ეკო-პოლიტიკა და გარემოს დაბინძურება ზედმეტად მნიშვნელობანი გახდა იმისათვის რომ მხოლოდ ეკოლოგების სააზროვნო სივრცეში დარჩეს. სახელოსნო დაეთმობა უშუალოდ ამ დარგის შემოქმედებით გაძლიერებასა და ნამუშევრების შემუშავებით მგრძნობელობის ამაღლებას. პარალელურად კი ოთახის რუტინაში რეზიდენტი არტისტები შემოიჭრებიან - რომლებიც სხვადასხვა ახალ თუ უკვე ცნობილ პროექტებს განახორციელებენ.

გუნდი: გიორგი სუმბაძე, ანა გაბელაია, საერთაშორისო არტისტები და კურატორები, ბოტანიკოსები, ქიმიკოსები ფიზიკოსები.

სტუდია 2 - დამოუკიდებელი ინტერდისციპლინური პლატფორმა "ობსკურა"

"ობსკურა" არის დამოუკიდებელი, ინტერდისციპლინარული პლათფორმა, რომელიც დაარსდა 2013 წელს არტისტებისა და კურატორების ინიციატივით. ორგანიზაციის მიზანია საგამოფენო, არტისტული იდეების და პროექტების ხელშეწყობა, ახალი, საინტერესო ხელოვანების აღმოჩენა, ხელოვნებასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის დამყარება. "ობსკურა" ფოკუსს აკეთებს სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე ხელოვნებაზე. გამოფენები ტრადიციული და ახალი მედიების, საუნდის, სივრცისთვის სპეციფიკური ინსტალაციების კონტექსტუალურ და სივრცობრივ სინთეზზეა ორიენტირებული. ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ პროექტებში მთავარი აქცენტი კეთდება კურატორებისა და არტისტების თანამშრომლობაზე და განსხვავებული საგამოფენო სივრცეების ათვისებაზე.

გუნდი: ნატო ბაგრატიონი, სოფო კობიძე, მარიამ ლორია, სანდრო სულაბერიძე, ნინუცა შატბერაშვილი, მარიამ წიქარიძე

სტუდია 3 - გალერეა LC Queisser, სახელოსნო მომავალი ექსპოზიციებისათვის

LC Queisser თბილისის ერთ-ერთ სახლში მდებარეობს. ის ჩაფიქრებულია სივრცედ, სადაც ზრუნვის, დაცულობის და ემოციურობის იდეები გაიცვლება და კრიტიკულად განიხილება. სახლი, რომელიც გალერეად გარდაიქმნება, ხდება ხელოვანთა თავშესაფარი იმისთვის, რომ უკომპრომისოდ იარსებონ და განვითარდნენ. ზოგი იტყვის, რომ ზრუნვა, ეს პოლიტიკური აქტია, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამიზნულად კეთდება.
გუნდი: ლიზა ოფერმანი, არტისტები, კურატორები.

ერთობლივი სახელოსნო

დროში სადაც სახელმწიფო სახელოვნებო სასწავლებლებს მწირი რესურსი აქვთ, არსებობენ ადამიანები რომლებსაც არ აქვთ წვდომა სახელოვნებო წრეებთან ან სივრცეებთან პრაქტიკისათვის. ერთობლივი სახელოსნო ჯგუფური პროექტებისა და სიმულტანური მუშაობისთვისაა შექმნილი. ეს იქნება სივრცე ახალგაზრდა პროფესიონალებისადა განვითარებადი არტისტებისა თუ სტუდენტებისათვის, სადაც მათ შეეძლებათ ერთმანეთის პარალელურად მუშაობა და ერთმანეთზე დაკვირვებით თვითგანვითარება.
გუნდი: პროპაგანდა, არტისტები, ჯგუფური ინიციატივები, სტუდენტები, მკვლევარები - სივრცის ყველა მონაწილე.

თბილისის არქიტექტურის ბიენალე

თბილისის არქიტექტურის ბიენალე (TAB) 2017 წელს დაარსდა. ის მიზნად ისახავს ერთი თემის, სივრცის განვითარების ქვეშ გააერთიანოს პროფესიონალები სხვადასხვა დისციპლინებიდან. ღონისძიების მონაწილეები პოლიტიკოსები, ადგილობრივი საზოგადოება და სხვა დაინტერესებული მხარეები იქნებიან, რომლებიც ერთად შეეცდებიან გააფართოვონ არსებული კრიტიკული დისკურსები არქიტექტურისა და ურბანული განვითარების შესახებ თბილისსა თუ მის მიღმა. TAB პლატფორმა ძალთა შეერთებით ახალი გამოფენების მოწყობაზე, ახალი დანადგარების შექმნაზე, სივრცით ექსპერიმენტებზე, სიმპოზიუმებსა და სხვა ღონისძიებებზე იმუშავებს. ღონისძიების თემა, ადგილმდებარეობა და კურატორი ყოველ წელს შეიცვლება.
გუნდი: თინათინ გურგენიძე, ნათია კალანდარიშვილი, ოთარ ნემსაძე და გიგი შუკაკიძე.

ექსპერიმენტული მუსიკისა და ხმოვანი ხელოვნების ლაბორატორია

საქართველოში მუსიკალური ინდუსტრიებისა და სასცენო რუტინის განვითარების პარალელურად, პროპაგანდა ხედავს საჭიროებას შენარჩუნდეს თანაზიარი ხელშეწყობისა და ურთიერთდახმარების ღია პრაქტიკა, რაც ასეთი დამახასიათებელია ჩვენი კულტურისათვის - მუსიკა როგორც ინტიმური ხელოვნების სფერო პირდაპირ უკავშირდება ასეთ ჩართულობას. ლაბორატორია სწორედ ის სივრცეა რომელიც ამ წეს-ჩვეულებას ინსტიტუციურ დონეზე აიყვანს. ღია სახელოსნო, სადაც დამწყებ, საერთაშორისო თუ სცენაზე არსებულ მუსიკოსებს ექნებათ მუდმივი იმპროვიზაციისა, რესურსების გაცვლისა და ფორმალური კვლევების საშუალება. ლაბორატორიას სჯერა რომ ხმოვან ენაზე საუბარი უფრო ფართოა ვიდრე მუსიკოსის პროფესია: ამიტომ მისი უმთავრესი საქმიანობა სხვა პროფესიების ადამიანებთან მუშაობაა, მათი აღქმის კვლევა და ახალი ფორმების ძიებაში, მათი კომპოზიციური სტრატეგიები. მნიშვნელოვანი ელემენტია ხმების, ხმაურებისა და დამუშაცებული აუდიო ნიმუშების დატა-ბაზა. ლაბორატორიის მუდმივი აქტივობებია: საუნდ-ინსტალაციებისა და საუნდ-არტის განვითარება, არასტანდარტული ბგერითი ხელსაწყოების შემუშავება და ახალი ხმების გენერირიება, რარიტეტული და უნიკალური ჩანაწერების შეგროვება და რეპროდუქცია. საერთაშორისო რეზიდენცია და კოლაბორაციები მსგავს ინსტიტუციებსა და ინიციატივებთან. ვირტუალურ თუ საჯარო სივრცეში თავისუფალი და ექსპერიმენტული ფორმატის პერფომანსები. საგანმანათლებლო აქტივობები, გამოცდილების გაზიარება და მულტიდისციპლინური საიმპროვიზაციო სესიები.

გუნდი: ვაჟა მარი, მუსიკის მკვლევარები და ექსპერტები, ხმის ინჟინრები და ფიზიკოსები, სტუდენტები, დამწყები თუ სცენის არტისტები, კომპოზიტორები, ვიზ. ხელოვნების არტისტები და კურატორები.

"ტემპო" რადიო, საინფორმაციო პლატფორმა მუსიკისთვის, კომუნიკაციები და სტრიმინგი, ტექნიკური მხარდაჭერა

ტემპო მრავალმხრივი და ინტერაქტიული პლატფორმაა, რომლის მთავარი მიზანია მუსიკალური ინდუსტრიის ინფორმაციული გაერთიანება: ტემპოს საშუალებით მსმენელებსა და მუსიკით დაინტერესებულ ადამიანებს საშუალება ექნებათ ნონსტოპ რეჟიმში მოუსმინონ სასურველ მუსიკას, გაეცნონ მუსიკალურ ტრენდებს, გამოიწერონ სიახლეები სფეროს ყველა ღონისძიებაზე, შექმნან საკუთარი პლეილისტები და გავლენა იქონიონ მუსიკალურ სფეროზე. ტემპო აქტიურ ქსელურ კოლაბორაციებს აწარმოებს ადგილობრივ მუსიკალურ დაწესებულებებთან და აპლიკაციის, რადიო-სტრიმინგისა თუ ვირტუალური სივრცის მეშვეობით ყველა აქტივობას აერთიანებს.•გუნდის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიები: ვებ დეველოპმენტი; ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვა და მონიტორინგი; ნოვაციების მართვა და კრეატიული პროექტების მენეჯმენტი; ზოგადი აიტი და პროექტების მენეჯმენტი; ლაივ სტრიმების მართვა

გუნდი: ვახტანგ ხიმშიაშვილი, ლაშა ჯოჯუა , ნიკა შაკაია.

კოლექცია

პროპაგანდას ყველა სახელოსნო თუ პროექტი ერთობლივად ემსახურება შექმნას და შეაგროვოს თანამედროვე ხელოვნების ფიზიკური თუ არაფიზიკური კოლექცია და ამით შექმნას ინსტიტუცია, რომელიც არსებულ კულტურულ ისტორიას შექმნის და დაიცავს.

გუნდი: პროპაგანდა, აგენტები, კოლექციონერები, ხელოვნებით დაინტერესებული პირები, მკვლევარები, კურატორები და არტისტები.